საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბეჩო

ბეჩო, უღელტეხილი მესტიის მუნიციპალიტეტში, სვანეთის კავკასიონის მთავარ ქედზე, ნაკრისა (დონღუზორუნის) და შხელდის მთებს შორის. სიმაღლე 3375 მ. დაფარულია თოვლ-ყინულით (ჩრდ-ით – იუსენგის, სამხრ-ით – დოლრის მყინვარია). ბილიკი გადადის ენგურის ხეობიდან (მდ. დოლრის სათავეებიდან, მესტიის მუნიციპალიტეტი) ბაქსანის ხეობაში (მდ. იუსენგის სათავეებში, ყაბარდო-ბალყარეთი). ბ. სვანეთის კავკასიონის მთავარი ქედის სხვა უღელტეხილებთან შედარებით ტექნიკურად ადვილი გადასასვლელია, ამიტომ მას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩრდ. კავკასიასთან კავშირისათვის. სამიმოსვლოდ ხელსაყრელია ივნ. – აგვ. თვეებში.

მ. უთმელიძე